

ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენელი სტუდენტების ინტეგრაციის
პროცესი უმაღლესი განათლების პირველ საფეხურზე - ინტეგრაციის
წარმატებით განხორციელების ხელისშემშლელი ფაქტორები და
გაუმჯობესების გზები

თამარ თოდუა

მარიამ თეთრაძე

ნინო ლომსაძე

*სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებათა
და ხელოვნების ფაკულტეტის განათლების ადმინისტრირების მაგისტრის აკადემიური
ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად*

განათლების ადმინისტრირება

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ნათია ანდლულაძე, ასისტენტ-პროფესორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2014

აბსტრაქტი

პრაქტიკული კვლევის საკვლევ ობიექტს წარმოადგენდა ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, სადაც ვიმუშავეთ ამავე უნივერსიტეტის მაკროეკონომიკის 18-2 ჯგუფში, აკადემიური პერსონალისა და ეთნიკური უმრავლესის წარმომადგენელი სტუდენტების ჩართვაზე ეთნიკური უმცირესობის სტუდენტების ინტეგრაციის პროცესში. ჩვენი მიგნებები, ინტერვენციები და რეკომენდაციები ეფუძნება ამავე უნივერსიტეტის ლექტორთა, უნივერსიტეტის ადმინისტრაციის, ეთნიკური უმცირესობებისა და ეთნიკური უმრავლესობის წარმომადგენელ სტუდენტთა ინტერვიუს, ფოკუს-ჯგუფებისა და სალექციო/სასემინარო საათებზე დაკვირვების შედეგად მოპოვებული ინფორმაციის ანალიზს.

თვისობრივი და რაოდენობრივი კვლევის შედეგად მოპოვებული ინფორმაციის დამუშავების შედეგად იდენტიფიცირებულ იქნა ინტეგრაციის პროცესის შემაფერხებელი რამდენიმე პრობლემა. გამოიკვეთა, რომ ეთნიკური უმცირესობის საუნივერსიტეტო სექტორში ინტეგრაციის პროცესის ერთ-ერთ ხელისშემშლელ ფაქტორს წარმოადგენდა ლექტორთა და ეთნიკური უმრავლესობის წარმომადგენელი სტუდენტების დამოკიდებულება მოცემული მოწყვლადი ჯგუფის მიმართ. უნივერსიტეტის ადმინისტრაციის, ამავე უნივერსიტეტის ქართული ენის მოსამზადებელი კურსის აკადემიური პერსონალის, მაკროეკონომიკის 18-2 ჯგუფის ლექტორისა და იმავე ჯგუფის ეთნიკური უმცირესობისა თუ ეთნიკური უმრავლესობის წარმომადგენელი სტუდენტების ინტერვიუების შედეგად გამოიკვეთა უკვე იდენტიფიცირებული პრობლემის გამომწვევი მიზეზები:

ა) ლექტორების არაინფორმირებულობა (მათ არ მიეწოდებოდათ ადმინისტრაციის მხრიდან ინფორმაცია იმის თაობაზე, თუ ენობრივი განვითარების რა დონეზე იმყოფებოდნენ ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენელი ის სტუდენტები, რომელლებიც მის აუდიტორიაში ირიცხებოდნენ);

ბ) ეთნიკური უმრავლესობის წარმომადგენელი სტუდენტებისა და აკადემიური პერსონალის დაბალი მოტივაცია მონაწილეობა მიეღოთ ინტეგრაციის პროცესის წარმატებით განხორციელებაში;

გ) აკადემიური პერსონალისა და სტუდენტების მხრიდან ინტეგრაციის პროცესის არასწორი გაგება.

კვლევაში მონაწილე აკადემიური პერსონალი თავის მხრივ არ მალავდა, რომ არსებობდა ინტეგრაციის პროცესის შემაფერხებელი ფაქტორები და პრობლემის სათავედ ეთნიკური უმცირესობის სტუდენტების მიერ სახელმწიფო ენის ფლობის არასათანადო დონეს ასახელებდა.

პრობლემის იდენტიფიცირების პირველ ეტაპზე მოვახდინეთ კითხვარებით მოპოვებული ინფორმაციის გაანალიზება და შედეგად ჩამოვაყალიბეთ კითხვები ჩაღრმავებული ინტერვიუსთვის. ხოლო, ინტერვიუებით მოპოვებული ინფორმაციის გაანალიზების შემდეგ კომისიამ გადაწყვიტა ინტერვენციის საწყის ეტაპზე ემუშავა ინფორმირებულობისა და მოტივაციის პრობლემაზე. პრაქტიკული კვლევის ფარგლებში განხორციელდა რამდენიმე ინტერვენცია:

ა) მოვახდინეთ ლექტორის ინფორმირება ეთ. უმცირესობის წარმომადგენელი სტუდენტის ინდივიდუალური შესაძლებლობის შესახებ. ლექტორს უნდა განეხორციელებინა დავალებისა და შეფასების სქემის მოდიფიცირება ისე, რომ მასში გათვალისწინებული ყოფილიყო ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენელი სტუდენტების ინდივიდუალური შესაძლებლობები. შეფასების სქემები თუ დავალების შინაასი კონკრეტულად, ნათლად ჩამოყალიბებული და მორგებული უნდა ყოფილიყო სტუდენტების უნარებზე;

ბ) მოვუწოდეთ ლექტორს ეთნიკური უმრავლესობის წარმომადგენელი სტუდენტების მოტივირებისკენ, რათა ისინი დახმარებოდნენ ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენელ ჯგუფელებს სასწავლო მასალის გააზრებაში;

გ) ინტერვენციის ფარგლებში ასევე შეიქმნა კლუბი, რომელიც შედგებოდა ეთნიკური უმრავლესობისა და ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენელი 4-4 სტუდენტისგან. კლუბში საუთარი სურვილით ირიცხებოდნენ ეთნიკური უმრავლესობის წარმომადგენელი სტუდენტები, რომლებსაც უნდა მოეხდინათ სასწავლო მასასლების ადაპტირება ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენელთათვის და კლუბის შეხვედრებზე დახმარება გაეწიათ ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენელი ჯგუფებისთვის მოცემული კურსის ფარგლებში გადასაწყვეტი პრაქტიკული ამოცანების გაანალიზებაში.

ინტევენციების განხორციელების შემდეგ ამ ჯგუფის ლექტორის, ეთნიკური უმრავლესობისა თუ ეთნიკური უმცირესობის სტუდენტთა ინტერვიუებითა და სალექციო/სასემინარო საათებზე დაკვირვების შედეგად დადასტურდა განხორციელებული ინტერვენციების წარმატებულობა.